პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 იანვარი პარასკევი 1970

ფასი 2 კაპ.

გამოცემის XL-ე წელი • № 24 (14628)

თავდადებული შრომით

ვლადიმერ ხიხაძე თითქმის სამი ათეული წელია ჭიათურის ლენინის ორდენოსანი მარგანეცის ტრესტის ცენტრალურ ელექტრომექანიკურ სახელოსნოში მუშაობს. იგი უნარიანად უძღვება მექანიკური საამქროს ბრიგადას, რომელმაც საწარმოში პირველმა მოიპოვა კომუნისტური შრომის საპატიო სახელი და რვა წელია ლირსეულად ატარებს მას. ვ. ხიხაძის ბრიგადამ სამ წელიწადსა და ხუთ თვეში გაანადღა ხუთწლიანი გეგმა და ვალდებულება იკისრა ვ. ი. ლენინის საიუბილეო დღისათვის 1971 წლის გეგმა შეასრულოს. სურათზე — ვ. ხიხაძე.

ლამზირა შაავა ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის შოფინაკე მეჩაიეა. იგი ყველა სამუშაოს აგროტექნიკით გათვალისწინებულ ვადებში ასრულებს და კისრულობს 0,5 ჰექტარზე წელს მიიღოს 5 ტონა ჩაის ფოთოლი.

სურათზე: ლ. შაავა.

ფოტო ა. მაჩაკარიანისა და ი. ნანიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მათ თავი ისახელეს

ლენინიზმი ჩვენი დროშა და იარაღია

სკკპ ინტერნაციონალისტ-ლენინელთა პარტიაა

ვ. მჭავანაძე,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ბოლოს და ბოლოს, ეროვნული საკითხი, ეროვნული ურთიერთობა, ეროვნული ინტერესი, ეროვნული ფსიქოლოგია, ეროვნული ხასიათი, ეროვნული ენა, ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ...

სკკ ინტერნაციონალიზმ-

ეროვნული

(დასასრული)

ხალხთა მეგობრობა და ძმობა ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ძლიერების საფუძველია. კომუნისტური პარტიის მრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით საბჭოთა ხალხებმა შეაერთეს რა თავიანთი ღონისძიებანი, მიაღწიეს მთლიანად საბჭოთა ქვეყნის და თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკიდან თვითეულის ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავებას. საბჭოთა სახელმწიფოს სოციალისტური ერების მეგობრობამ ღირსეულად გადალახა ყველა განსაცდელი, რაც მას წოლად ხვდა: ხალხების მიერ ერთად დაღვრილმა ოფლმა და სისხლმა ეს მეგობრობა უმაგალითო სიმტკიცის კავშირით შეადუღა.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების ქმედითობა შეიძლება დამაჯერებლად იქნას დადასტურებული საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში თანასწორთა შორის თანასწორის — საბჭოთა საქართველოს მაგალითით. წინათ ეკონომიურად ჩამორჩენილი, ნახევრადკოლონიური განაპირა კუთხე მეფის რუსეთისა გადაიქცა მაღალგანვითარებულ თანამედროვე ინდუსტრიის, მრავალდარგოვანი მექანიზებული სოფლის მეურნეობის, მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის რესპუბლიკად. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეეძლო საქართველოს მიეღწია თავისი ეკონომიკის, ისეთი მძლავრი ზრდისათვის, რომელიც ამჟამად მას საშუალებას აძლევს ხუთი დღის განმავლობაში აწარმოოს იმდენი პროდუქცია, რამდენიც მთელი 1913 წლის განმავლობაში იყო გამოშვებული. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენში აშენდა ათასამდე მსხვილი საწარმო, ხოლო პროდუქციის საერთო მოცულობა 77-ჯერ გადიდდა. ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი სახეობის პროდუქციის წარმოების მხრივ რესპუბლიკამ ერთ სულ მოსახლეზე გაუსწრო ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას, როგორიც იტალიაა.

საქართველოში შექმნილია მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის ქიმიური, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთმშენებლობის, საავტომობილო. გაჩნდა ინდუსტრიის გიგანტები: ელმავალთმშენებლო და ჩარხსამშენებლო ქარხნები თბილისში, მეტალურგიული ქარხანა და ქიმიური კომბინატი რუსთავში, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, გორის ბამბეულის კომბინატი და მრავალი სხვა. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა პროდუქცია საზღვარგარეთის თოქმის 70 ქვეყანაში იგზავნება. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში და საზღვარგარეთ იგზავნება სხვადასხვა სამრეწველო მოწყობილობა, ელმავლები და სატვირთო ავტომობილები, გემები და კატარღები, ელექტროხელსაწყოები და აპარატურა; ელექტროკარები და მადნის ელმავლები, არტეზიული ტუმბოები და მოწყობილობა, ელმავლები და სატვირთო ავტომობილები, გემები და კატარღები, ელექტროხელსაწყოები და აპარატურა; ელექტროკარები და მადნის ელმავლები, არტეზიული ტუმბოები და მოწყობილობა, ჩაი, თამბაქო, ღვინო და მრავალი სხვა რამ.

საქართველოს ენერგეტიკული მეურნეობის მაღალ დონეს ახასიათებს ის, რომ ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში წარმოებს თოქმის ოთხჯერ მეტი ელექტროენერგიის გამომუშავება, ვიდრე მთელ რეკოლუციამდელ რუსეთში. მიუხედავად ამისა, ენერგეტიკული მშენებლობა მზარდი ფაქტობით გრძელდება. 1972 წელს მწყობრში ჩადგება უნიკალური 270-მეტრიანი თაღოვანი კაშხალის მქონე ენგურის ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატები — მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი და ტექნიკურად სრულყოფილი წყალშემკავებელი ნაგებობა. სრული სიმძლავრით ამუშავებული ენგურის ჰიდროელექტროსადგური უფრო მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, ვიდრე საქართველოს ახლანდელი ჰიდროელექტროსადგურები ერთად.

საოცარია საქართველოს წარმატებანი სოფლის მეურნეობის განვითარებაშიც. ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა საქართველ კლიმეურნე გლეხობას შესაძლებლობა მისცა უმაგალითო სიმაღლეზე აეყვანა ჩაის, ყურძნის, ციტრუსების, ხილისა და თამბაქოს წარმოება.

საქართველოში — ძველი კულტურის ქვეყანაში — საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნილია ყველა პირობა ხალხის სულიერი ცხოვრების აყვავებისათვის, განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის. ჩვენში ამჟამად ითვლება 4600-მდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომლებშიც მილიონი მოსწავლეა. 18 უმაღლეს და 93 საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ცოდნას ეუფლება 140 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. სახალხო მეურნეობაში მუშაობს უმაღლესი განათლების მქონე 166 ათასი სპეციალისტი. დღეს ჩვენში ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის ორჯერ მეტი სტუდენტი, ვიდრე საფრანგეთში, თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე იტალიაში, ექვსჯერ მეტი, ვიდრე თურქეთში, 14-ჯერ მეტი, ვიდრე ირანში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ შეიქმნა, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი სამეცნიერო ცენტრი გახდა. ჩვენს მეცნიერთა გამოკვლევებს, რომლებიც თანამედროვე მეცნიერების უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით წარმოებს, დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ბევრი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც. მათგან 20-ზე მეტი საზღვარგარეთის ქვეყნების უმსხვილეს სამეცნიერო დაწესებულებათა წევრია. ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ შექმნისათვის ჩვენს მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს მიენიჭათ ლენინური პრემია, ხოლო სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტული დანადგარების შექმნისათვის — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია.

ქართული და მთელი საბჭოთა კულტურის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენს მწერლებს, პოეტებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, თეატრისა და კინოს მოღვაწეებს.

ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში საქართველოს მშრომელთა წარმატებანი მიღწეულია ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხის და უწინარეს ყოვლისა დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარების მეოხებით. ასეთი დახმარების მაგალითი მრავალია; შეგიერდებით მხოლოდ ორზე.

როცა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველო პირველ ნაბიჯებს დგამდა ახალი ცხოვრების მშენებლობაში, რსფსრ-მთავრობამ ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებით დიდი თანხა გამოაყო თბილისის ახლოს ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ასაგებად...

1944 წელი. საბჭოთა ხალხი ჯერ კიდევ ეწევა უმძიმეს ომს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, საქართველოში კი უკვე იწყება მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან დაბა რუსთავში, სადაც იქმნება ფერადი მეტალურგიის გიგანტი, ჩამოდიან გამოცდილი მშენებლები, მოდის მახალები, მექანიზმები, მოწყობილობა. შორეული სოლიკამსკი ეზგვინის ასაწყობ საცხოვრებელ სახლებს, ლენინგრადი — ელექტრომოწყობილობას, მეზობელი სომხეთი — ტუფის ქვას და მეტალახის ფილებს, ბრიანსკი და ასტრახანი — სამშენებლო ხე-ტყეს. მაკეევკიდან და მაგნიტოგორსკიდან იგზავნება ხარისხოვანი რკინის პარტიები, მარიუპოლიდან — ბრძმედების ლითონკონსტრუქციები. ურალის ძმიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა რუსთავისათვის ამზადებს იმ პერიოდში ევროპაში უდიდეს და სსრ კავშირში მეორე მილსაგალინავ დგანს, ნოვოკრამატორსკის მანქანათსამშენებლო ქარხანა — ბლუმინგს, კრასნოარსკის ორთქლმავალსამშენებლო ქარხანა — ჩასასხმელ, ხოლო ტაშკენტის ასაწევ-სატრანსპორტო მოწყობილობის ქარხანა — მაგნიტურგრეფერის ამწეებს, ირკუტსკის კუთბშვეის სახელობის ქარხანა სამსხმელო მანქანის სამძიმედე საამქროსათვის, ჩელიაბინსკის მეტალურგიული ქარხანა — მოწყობილობას თბოელექტროცენტრალისათვის. კიევიდან, სლავიანსკიდან, ალმა-ატიდან მოდის სკიპის ამწეები, ბუნკერები, ანკერის დგარები, რუსთავის გიგანტი შენდება არა მარტო ქართველ მშენებელთა, არამედ ადგილეთ სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, რუსეთის ფედერაციიდან და უკრაინიდან, ბელორუსიიდან და უზბეკეთიდან ჩამოსული მათი პროფესიით ამხანაგების, ძმების ხელით.

ახე გაჩნდა ჩვენი სამშობლოს რუკაზე ახალი სოციალისტური ქალაქი, რომელიც ამჟამად ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი დიდი ინდუსტრიული ცენტრია, — მრავალეროვანი რუსთავი. ორმოცი ძმის ქალაქს უწოდებენ მას, ჭინაიდან ერთიმეორის გვერდით, ერთიანმ მეგობრულ ოჯახად ცხოვრობენ და შრომობენ აქ ორმოცი ეროვნების წარმომადგენლები.

ასეთია სოციალისტური ინტერნაციონალიზმი მოქმედებაში. იგი გამოიხატება საერთო საქმისათვის მშრომელთა ერთობლივი ბრძოლით.

სკკ ინტერნაციონალიზმ-ის ერთგული

საბჭოთა კავშირში გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდი მოასწავებს ახალ ეტაპს ეროვნული ურთიერთობის განვითარებაში, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში. ამ ეტაპის არსია ყველა საბჭოთა ერისა და ეროვნების შემდგომი დაახლოება, მათი მეგობრობისა და შეკავშირების განმტკიცება თვითეული ერის ყოველმხრივი განვითარების და კომუნიზმის მშენებლობაში მათი თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების გაძლიერების საფუძველზე. ამასთან, ნათქვამია სკკპ პროგრამაში, „ეროვნული ურთიერთობის ყველა საკითხს, რომლებიც კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში წარმოიმბა, პარტია წყვეტს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებიდან, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების საფუძველზე“.

საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკის ყოველმხრივი განვითარების მიზნით კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ წარმოების რაციონალურ განლაგებას და ბუნებრივ სიმდიდრეთა გეგმაზომიერ დამუშავებას. პარტიის ეკონომიური კურსი ითვალისწინებს რესპუბლიკებს შორის შრომის სოციალისტური დანაწილების შემდგომ სრულყოფას, მათი შრომითი ღონისძიებების გაერთიანებასა და შეთანხმებას, მათი სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივ კოორდინაციას.

სოციალისტური ერების ინტერნაციონალური ერთიანობის კიდევ უფრო მეტად განმტკიცებისთვის არანაკლებ დიდმნიშვნელოვანია კომუნისტური პარტიის ამოცანები ხალხთა კულტურული ზრდის დარგში. გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს რა სსრ კავშირის ხალხების კულტურათა სოციალისტური შინაარსის განვითარებას, იგი ხელს უწყობს მათს ურთიერთგამდიდრებასა და დაახლოებას, მათი ინტერნაციონალური საფუძვლის განმტკიცებას და ამით კომუნისტური საზოგადოების მომავალი ერთიანი ზოგადსაკაცობრიო კულტურის ჩამოყალიბებას. ხელს უწყობს რა თვითეული ხალხის პროგრესული ტრადიციებს, ხდის რა მათ ყველა საბჭოთა ადამიანის კუთვნილებად, პარტია ყველა ღონისძიებით ავითარებს კომუნიზმის მშენებელთა ახალ, ყველა ერისათვის ერთიან რევოლუციურ ტრადიციებს.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარება ხასიათდება ორი სამყაროს — კაპიტალიზმის სამყაროსა და სოციალიზმის სამყაროს იდეოლოგიური ბრძოლის მკვეთრი გამწვავებით. ანტიკომუნისტური პროპაგანდის მთელი უზარმაზარი აპარატი ამჟამად მიმართულია იმისაკენ, რომ შეახუხტოს სოციალისტური ქვეყნების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა, გათიშოს თანამედროვეობის მოწინავე ძალები, სცადოს შეგნიდან გამოუთხაროს ძირი სოციალისტურ საზოგადოებას. რაკი შეენებული აქვთ, რომ მსოფლიოში ძალთა თანაფარდობა სულ უფრო მეტად იცვლება სოციალიზმის სასარგებლოდ, რომ განუხრელად იზრდება მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, კომუნისტური იდეოლოგიისა და პოლიტიკის გავლენა, იმპერიალისტები, ცდილობენ რა გათიშონ სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობა, შეახუხტონ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების ძალა, იყენებენ ნაციონალიზმის ზნეს. აქედან წარმოსდგება იმის აუცილებლობა, რომ თანმიმდევრულად და შეურიგებლად ვეწეოდეთ ბრძოლას ნაციონალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ, უველა ღონისძიებით ვახორციელებდეთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებს. ნაციონალიზმი ხერეოზულ საფრთხედ იქცევა მაშინ, როცა მის წინააღმდეგ ბრძოლას ეწევიან.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა ობიექტური პირობა იმისათვის, რომ აყვავდეს ხალხთა მეგობრობა, რომელიც ემყარება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებს. და ეს მეგობრობა მტკიცდება, წარმოადგენს ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტის მაგალითს იმ ხალხებისათვის, რომლებიც თავიანთი ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის იბრძვიან. მაგრამ ნაციონალიზმის გადმონაშთები შეიძლება გამოვლინდეს და ზოგჯერ კიდევაც ვლინდება ცალეული ეროვნულად შეზღუდული ადამიანების მიერ გამოთქმულ აზრებსა და მათს მოქმედებაში. კომუნისტური პარტია მოითხოვს გადამჭრელ ბრძოლას ნაციონალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ, და ჩვენი მოვალეობა ის არის, რომ ვაუარყოფდეთ ასეთ ბრძოლას უზარმაზად და თანმიმდევრულად. [illegible] ლენინური მოძღვრებიდან [illegible]

ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში უდიდეს როლს ასრულებს მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა.

ლაპარაკობდა რა ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების კავშირის შემდგომი განმტკიცების ამოცანებზე, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის გამოსვლაში კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნიზმის მშენებლობის ახლანდელი ეტაპი მოითხოვს, რომ ამ დარგში მიღწეული წარმატებანი არა მარტო შევინარჩუნოთ, არამედ კიდევაც განვავითაროთ. „საქმე ეხება, — თქვა მან, — ყველა ერისა და ეროვნების კიდევ უფრო მჭიდრო დაახლოებას, მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანები აღზრდილნი საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ნაციონალიზმისა და რასიზმის იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით“.

კომუნისტური პარტია ითვალისწინებს თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანია მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა ჩვენს ქვეყანაში, რომელშიც ცხოვრობს და ერთობლივად შრომობს 100-ზე მეტი ერი და ეროვნება. მრავალეროვანია საბჭოთა საქართველოც. ჩვენში ძნელია იპოვნოთ არათუ საწარმო და დაწესებულება, კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა, არამედ საწარმო უბანი თუ ბრიგადაც, სადაც ისინი სხვადასხვა ეროვნების ადამიანები არ იყოს.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უმამობენ მშრომელთა აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით. ამ საკითხებს რეგულარულად განვიხილავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომებზე. მაგალითად, 1968 წლის ივლისში ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება „რესპუბლიკის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. აღნიშნა რა, რომ „გაწეულია დიდი მუშაობა, ბიურომ ამასთან ერთად მიუთითა პარტიულ ორგანიზაციებს ნაკლოვანებებზე და უჩინა ამ საქმეში ადამიანების აღზრდის კონკრეტული გზები. ერთი წლის შემდეგ, 1969 წლის ივნისში, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ შეამოწმა, როგორ ახორციელებენ ამ დადგენილებას ქალაქების ტყიბულისა და ტყვარჩელის პარტიული ორგანიზაციები.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების, სკკპ ლენინური ეროვნული პოლიტიკის პროპაგანდაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის პოლიტიკური განთლების სისტემას. საუბრობს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ცხოველმყოფელი ძალის შესახებ პროპაგანდისტები ეროვნან საქართველოს, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების და საოცალისტური ქვეყნების ხალხების მშრომელთა მეგობრული კავშირისა და ურთიერთდახმარების კონკრეტული მაგალითებისა და ფაქტების საფუძველზე.

აი, მაგალითად, რა ილაპარაკა ერთ-ერთ მეცადინეობაზე ტყვარჩელის ხალხმეწყოფო რაიონული ელექტროსადგურის პირველადს პარტორგანიზაციასთან არსებული დაწყებითი პოლიტსკოლის პროპაგანდისტმა ვ. ბუსკანძემ.., 1923 წელი იდგა. რესპუბლიკაში იწყებოდა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს ათვისება. საქართველოსათვის ამ ახალ საქმეში დახმარების გასაწევად ტყვარჩელში ჩამოვიდა მეშახტეთა ჯგუფი დონბასიდან. მათი მონაწილეობით აგებულ იქნა შახტი № 1. ბევრი ძალა და ენერგია მოახმარეს რუსმა და უკრაინელმა მეშახტეებმა მაღაროლითა ადგილობრივი კადრების მომზადებას. მოწაფეებთან ერთად იზრდებოდნენ მასწავლებლებიც. დონბასიდან ჩამოსული მბგრეველი დ. ხრიუკალოვი მალე ტყვარჩელში ათისთავი გახდა, შემდეგ კი დაწინაურებულ იქნა „ტყვარჩელმშენის“ სამთო განყოფილების მმართველად. იგი ახლდა პირველ ქართველ მეშახტეებს ბორლოვკაში, სადაც ისინი სწავლობდნენ სამთო საქმეს, ეცნობოდნენ შრომის მოწინავე მეთოდებს. შემდეგში აფხაზეთში ქვანახშირის მრეწველობის შექმნის მონაწილე დ. ხრიუკალოვი პარ-

10 წლის ჩამორჩენის ზეიმდეგ

დირექტორის ტრიბუნა

ქუთაისის ლითოფონის ქარხანა პიგმენტების დამამზადებელი მსხვილი ქიმიური საწარმოა.

პარტიის მიერ შემუშავებული ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების პროგრამის შესაბამისად ქარხანაში განხორციელდა რეკონსტრუქცია-გაფართოების დიდი სამუშაოები.

და მიუნც ამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ქარხანა ჩამორჩებოდა, ზარალით მუშაობდა, ვერ გასრულებდით პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალებებს.

ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ კომუნისტები, მთელი კოლექტივი დარაზმა ე. წ. „ვიწრო ადგილების“ აღმოსაფხვრელად, წარმოების შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და ამოქმედებისათვის.

„ვიწრო ადგილები“ კი ცოტა როდი იყო. ირღვეოდა შრომითი და საწარმოო დისციპლინა, ცუდად ვიყენებდით ტექნოლოგიურ მოწყობილობას.

ჩამორჩენის ლიკვიდაცია და წარმატების გასაღები გახდა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა, რომელზეც ჩვენი ქარხანა 1968 წლის იანვრიდან გადავიდა.

ახალ სამეურნეო რეფორმაზე გადასვლას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა იმისათვის, რომ ადგილზეკე გამოგვეცადა რენტაბელობის გადიდების, ყველა უბანზე წარმოების ეფექტურობის ამაღლების გზები.

ქარხანაში, მოფიქრებულად და თანმიმდევრულად განხორციელდა მთელი რიგი ტექნიკურ-ეკონომიური ღონისძიებები, რომლებმაც საშუალება მოგვცა კაპიტალურ დაბანდებათა გაუწევლად, არსებულ საწარმოო ფართობებზე გამოგვეშვა გაცილებით მეტი პროდუქცია და ამასთან მკვეთრად შეგვემცირებინა „მისი თვითღირებულება.

სწორედ სამეურნეო რეფორმამ გვიბიძგა იქითკენ, რომ საწყავ მასალად ქვანახშირის ნაცვლად მაზუთი გამოგვეყენებინა. საქვაბე საამქროს თხუთვად საწყავზე გადაყვანამ ქარხანას წლიურად 100 ათას მანეთზე მეტი დაუზოგა. დიდი ეკონომიური ეფექტი მოგვცა აგრეთვე სპილენძის საფნობ ღუმელზე გაბგერვრატორის აირის ნაცვლად თხევადი საწვავის ნარჩენების გამოყენებამ.

დიდი მუშაობა განხორციელდა წარმოების ტექნოლოგიური ციკლის სრულყოფისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. მოვახდინეთ ცალეული ავანგარდისა და აპარატ-დანადგარების მოდერნიზაცია, დამატებით ავაშენებინეთ ახალი საწარმოო სიმძლავრეები. ლითოფონის საამქროში მწყობრში ჩადგა ფაბრიკატების საშრობი სარეზერვო აპარატი, ნახევარფაბრიკატების გასაფილტრავი ვაკუუმფილტრები. გოგირდბარიუმის საამქროში შარშან დაიდგა მეოთხე ალმდგენი ღუმელი. ყველაფერმა ამან რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით 20-25 პროცენტით გაზარდა ლითოფონის, თუთიისა და ბარიუმის საამქროების წარმადობა. ლაქ-ემალების საამქროში ეამორტიზებენ და ხელ მაღე ავამოქმედებთ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით შექმნილ ბისერულ წისქვილს, რის შემდეგაც ერთისამად გაიზრდება ემალის გამოშვება, გაუმჯობესდება მისი ხარისხი.

ასევე, ჩვენ ინიციატივით, გასული წლის ბოლოს ლაქ-ემალების საამქროში არსებული დანადგარებით დავიწყეთ იატაკის მაღალხარისხოვანი საღებავის გამოშვება, წელს მოსახლეობის საჭიროებისათვის გათვალისწინებული გვაქვს სულ მცირე 200 ტონა საღებავის გამოშვება.

თუ როდინ დიდი ეკონომიური ეფექტი მოგვცა ასორტიმენტის ასე განახლებამ, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მარტო მშრალი წებოვანი საღებავებისა და იატაკის საღებავის გამოშვებით ქარხანამ 30 პროცენტით გაადიდა რეალიზაციის მოცულობა და ამ გზით დამატებით მიიღო ათეულ ათასობით მანეთი მოგება.

აქ უნდა დავძინოთ, რომ არსებულ საწარმოო ფართობებზე პროდუქციის გამოშვების გადიდება ძირითადად ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად იქნა მოღწეული. რეფორმამდელ 1967 წლთან შედარებით, გასულ წელს 31,9 პროცენტით გადიდდა ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების კოეფიციენტი.

ახალი სამეურნეო რეფორმის შემდეგ ქარხანამ თავი დაიღწია ჩამორჩენას და ამტკიცედ ჩადგა მოწინავეთა რიგებში. შარშან ქარხანა ზედიზედ სამჯერ გამოვდა გამარჯვებული სოციალისტურ შეჯიბრებაში. მესამე კვარტალის შედეგებით კი, ქუთაისელმა მელითოფოსტეებმა სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურეს.

ქარხნის კოლექტივი სასახელოდ ამაღლებს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს.

ᲬᲘᲒᲜᲘ — ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ეს წიგნი ორი თავისაგან შედგება: „ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა ახალი ამოცანების დონეზე“ და „ახალი სკკპ წესდებაში“. პირველ თავში განხილულია ის პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიის როლის შემდგომ ამაღლებას საბჭოთა საზოგადოებაში, ხოლო მეორე თავში ფიქრდებიან ამ ცვლილებებით და დამატებებით; რომლებიც ყრილობამ შეიტანა სკკპ წესდებაში და რომლებიც ხელს უწყობენ პარტიული მუშაობის გაუმჯობესებას.

მკითხველმა მოწონებით მიიღო ბერასიმეს შირჩანაძის წიგნი „პადრების შერჩევა, განაწილება და აღზრდა პარტიულ მუშაობის მნიშვნელოვანი უბანია“. ამ ნაშრომში საქმის ცოდნით, მკაფიო მაგალითებით არის განხილული კადრებთან მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სოციალისტური განვითარების ყველა ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სახალხო მეურნეობის გაძღოლის ფორმებისა და მეთოდების ყოველმხრივ სრულყოფას, ბრძოლას ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. ყველა ეს საკითხი ჩვენი რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ყურადღების ცენტრშია. თუ როგორ მუშაობენ ისინი მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და საწარმოო სტიმულირების გაძლიერებისათვის, ყოველივე ამის შესახებ დაწერილებით არის განხილული ეს ცვლილებები და დამატებები; რომლებიც ყრილობამ შეიტანა სკკპ წესდებაში და რომლებიც ხელს უწყობენ პარტიული მუშაობის გაუმჯობესებას.

მკითხველმა მოწონებით მიიღო ბერასიმეს შირჩანაძის წიგნი „პადრების შერჩევა, განაწილება და აღზრდა პარტიულ მუშაობის მნიშვნელოვანი უბანია“. ამ ნაშრომში საქმის ცოდნით, მკაფიო მაგალითებით არის განხილული კადრებთან მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სოციალისტური განვითარების ყველა ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სახალხო მეურნეობის გაძღოლის ფორმებისა და მეთოდების ყოველმხრივ სრულყოფას, ბრძოლას ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. ყველა ეს საკითხი ჩვენი რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ყურადღების ცენტრშია. თუ როგორ მუშაობენ ისინი მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და საწარმოო სტიმულირების გაძლიერებისათვის, ყოველივე ამის შესახებ დაწერილებით არის განხილული ეს ცვლილებები და დამატებები; რომლებიც ყრილობამ შეიტანა სკკპ წესდებაში და რომლებიც ხელს უწყობენ პარტიული მუშაობის გაუმჯობესებას.

საინტერესოდ იკითხება აგრეთვე ვლადიმერ ჭანუყვაძის ბროშურა „იდეური რწმენის აღზრდა პარტიული ორგანიზაციის ძირითადი ამოცანაა“.

პარტიული პროპაგანდისა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს ეძღვნება ზელიმხან ბეგზაევიშვილის წიგნი „პარტიული ხელმძღვანელობა პროპაგანდისტული მუშაობისადმი“ და დავით კაკაბაძის ბროშურა „სრულყოფთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფორმები და მეთოდები“. ორივე ამ წიგნში განხილულია ის ამოცანები, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობამ და ყრილობის შემდგომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა დააყენეს პარტიული ორგანიზაციების წინაშე, ნაჩვენებია ამ ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტის გზები. დ. კაკაბაძე თავის ნაშრომში დაწვრილებით განიხილავს საგიგანტაცო მუშაობის ახალ ორგანიზაციულ პოლიტიკურ სტრუქტურას — პოლიტინფორმატორთა ინსტიტუტს. ბროშურაში ლაპარაკია იმაზე, თუ რა როლს ასრულებენ პოლიტიკური ინფორმაცია, პოლიტინფორმატორები იდეოლოგიურ მუშაობაში.

შრომისა და მატერიალური რესურსების რაც შეიძლება ნაკლები დახარჯვით მიღწეულ იქნას მეტი ეფექტი — აი ამოცანები, რომლებიც დღეს დასმულია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის წინაშე. უნდა ითქვას, რომ ამ თემაზე ლიტერატურა ქართულ ენაზე ჯერ კიდევ მცირეა. ამ ხარვეზის მეტ-ნაკლებად ავსებს ვარლამ მსალიაშვილის ბროშურა „პარტიული ორგანიზაცია და შრომის მეცნიერული ორგანიზაცია“, რომელიც ეკონომიკის საკითხების რუბრიკით დაიბეჭდა.

ეკონომიკის საკითხების ბუბრიკით დაიბეჭდა აგრეთვე ბესიკ ხუციშვილის ბროშურა „პარტიული ორგანიზაციები და სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის აპაზები“.

1970 წლისათვის გამომცემლობას განზრახული აქვს კიდევ უფრო გამამდიდროს ჩვენი კადრების ბიბლიოთეკა ახალი წიგნებით პარტიული შენებლობის, იდეოლოგიური მუშაობისა და ეკონომიკის პრაქტიკულ საკითხებზე, კერძოდ, გამოიცემა ბროშურები ისეთ თემებზე, როგორიც არის: პირველადი პარტიული ორგანიზაცია პარტიის მებრძოლი იარაღია; შესრულების შემოწმება პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია; პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ახალგაზრდა კომუნისტებთან; ინტელიგენცია სოციალისტურ საზოგადოებაში; პარტიული ორგანიზაცია პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლაში და სხვ.

ცხადია, ასეთი ბროშურების სერიული გამოცემა დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს კადრებს პრაქტიკული მოღვაწეობაში.

მ. ᲗᲐᲠᲓᲚᲐᲜᲘᲫᲔ.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის უფროსი რედაქტორი.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

● **ზესტაფონის** რაიონის სოფელ ფუთის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის კეთილმოუწყობლობას ეხებოდა წერილი, რომელიც კოლმეურნეებმა ლ. მუმლაძემ, ლ. სარალიძემ და სხვებმა რედაქციას გამოუგზავნეს. ამ ხაჩივართან დაკავშირებით ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. სამხარაძე რედაქციას ატყობინებს:

წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ფერმის ახალი შენობა კოლმეურნეობის ცენტრს დაშორებულია 3-4 კილომეტრით. ფერმაში განათება ჯერჯერობით მოუწყობელია. განათების გაყვანილობა დამთავრდება წელს, რის შემდეგ დაიდგმება რადიომიმღები. ფერმის მუშაკებს კულტმასობრ

ლენინელთა პარტია

ტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის რეკომენდაციით მოსკოვში წავიდა სამრეწველო აკადემიაში სახვალამდე. დადგა დრო, და ქართველმა შეშინტეებმაც შეასრულეს თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობა, ისანი ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ დონბასის მაღაროელთა მოწოდებას — დახმარებოდნენ მათ ფაშისტი ოკუპანტების მიერ დანგრეული შახტების აღდგენაში.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ხალხთა ინტერნაციონალური აღზრდის, მათი მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების საუცხოო სკოლაა საქართველოსა და ზნეა საბჭოთა რესპუბლიკების საწარმოო კოლექტივების, დაწესებულებებისა და ქალაქების შეჯიბრება. მრავალი წლის მეგობრობა და შეჯიბრება აკავშირებს ქალაქების თბილისს, რიგას, ბაკოსა და ერევნის, ქუთაისს, კიროვაბადისა და ლენინაკანის, ბათუმს, ხერსონისა და მახაჩკალის, სობუმისა და კიროვაკანის მშრომელებს, რუსთავისა და დონეცკის მეტალურგებს, ჭიათურის, ტყვარჩელის, ნიკოპოლისა და დონბასის მაღაროელებს, შახტიორებს და გენიჩესკის (უკრაინის სსრ), ოჩამჩირისა და ლენკორანის (აზერბაიჯანის სსრ), ლენინგორისა და ჩაროდის (დაღესტანის ასსრ) რაიონების სოფლის მშრომელებს. უკვე ოცდაათი წელია ეჯიბრებიან, გამოცდილებას უზიარებენ, ეხმარებიან ერთმანეთს ზაპოროჟიელი და ზუსტაფონელი ფერომეტალურგებელები. ახლა ორივე კოლექტივი იბრძვის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საქართველოს საწარმოთა, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებათა შემოქმედებითი კავშირი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან.

ბევრ რამეს აკეთებენ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. ჩვენი ქალაქებისა და სოფლების კლუბებში, კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებში, პარკებში რეგულარულად იმართება მეგობრობის ხაღამოები, შეხვედრები, მოძმე რესპუბლიკების წარმოების წარჩინებულ მუშაკებთან და მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებთან. სახალხო თეატრები, მხატვრული თვითმოქმედების წრეები გამოდიან ქართულ, აფხაზურ, ოსურ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ებრაულ, ბერძნულ და სხვა ენებზე. მათს რეპერტუარში დიდი ადგილი უჭირავს მოძმე ხალხების ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების პროგრესულ მწერალთა და კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. ტრადიცია გახდა საქართველოსა და სხვა შეკავშირე რესპუბლიკების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების გასტროლების ურთიერთგაცვლა.

ძნელია გადაჭარბებით შეავფასოთ ის წვლილი, რომელიც შეაქვთ ინტერნაციონალურ აღზრდაში საქართველოს შემოქმედებითს კავშირებსა და ორგანიზაციებს. ისანი ფართო პროპაგანდას უწევენ სსრ კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების მოძმე ხალხთა მხატვრული ლიტერატურის, თეატრალური, მუსიკალური და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებს. ხალხთა მეგობრობის შესანიშნავ დღესასწაულად იქცა 1966 წელს შენინალური ქართველი პოეტის, მოაზროვნისა და ჰუმანისტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღესასწაული. რუსთაველს უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო პოეზიის საგანძურში შეეყარა. იგი გამოცემულია მსოფლიოს 40-ზე მეტ ენაზე. საბჭოთა კავშირში პოემა გამოიცა 87-ჯერ, სსრ კავშირის ხალხთა თითქმის ყველა ენაზე.

საბჭოთა ხალხების ურთიერთ შემოქმედებით გამდიდრების ერთ-ერთი ნაყოფიერი ფორმაა ლიტერატურული დეკადები. მაგალითად, უდიდესი წარმატებით ჩაიარა 1969 წლის მაისში ქართული ლიტერატურის დეკადამ უკრაინაში. საქართველოს და პოლონეთის ხალხთა ურთიერთ დაახლოებაში შესაჩნევი როლი შეასრულა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლებმა ჩვენს პოლონელ მეგობრებთან გასული წლის ივნისში და ამავე დროს ლოძის დიდი თეატრის გასტროლებმა საქართველოში.

დასამახსოვრებელი კვალი დატოვა ულიანოვსკის, ყაზანისა და საქართველოს პროპაგანდისტ მუშაკთა მეგობრობისა და საქმიანი შეხვედრების კვირეულმა, რომელიც თბილისში გაიმართა გასული წლის ივნისში. მაღალ იდეურ დონეზე ჩაიარა აქ აგრეთვე 1969 წლის ბოლოს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტების — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალების სამეცნიერო სესიამ, რომელიც მიეძღვნა ამერიკაკავასიაში ლენინური ეროვნული პოლიტიკის დამკვიდრებას.

რესპუბლიკაში ჩამოდიან უცხოეთის ბევრი დელეგაცია, ტურისტები სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნებიდან. ისინი ეცნობიან ისტორიულ ძეგლებს, სამრეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებს, ხალხთა მეურნეობებისა და დაწესებულებების საქმიანობას, ჩვენი ხალხის სოციალისტურ მონაპოვრებს. მის ცხოვრებასა და შრომას, და საქართველოს მშრომელთა მიღწევები საზღვარგარეთელ სტუმართა აღტაცებას იწვევს.

მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეების პროპაგანდაში პარტიული ორგანიზაციები ფართოდ იყენებენ მასებზე იდეური გავლენის ისეთ მძლავრ საშუალებებს, როგორიც არის პრესა, რადიო და ტელევიზია. რესპუბლიკის გამომცემლობანი სისტემატიურად ახორციელებენ საბჭოთა კავშირის და სოციალისტური ქვეყნების მოძმე ხალხთა მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმნას ქართულ ენაზე. დიდი ტირაჟებით გამოდის გაზეთები და ჟურნალები ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას ახალგაზრდობაში. ახალგაზრდა თაობის აღზრდა კომუნისტური პატრიოტიზმისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებზე დღეს ჩვენი პირველხარისხოვანი ამოცანაა. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ქარხნებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში მუშაობენ და ცოდნას ეუფლებიან მრავალი ეროვნების ქალიშვილები და ჰაბუკები. მაგალითად, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ ქართველები, რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, უკრაინელები, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, და ყველა მათ ერთგული გახლეთ ფართო გზა ცოდნისაკენ, შემოქმედებითი შრომისაკენ, მეცნიერებისა და კულტურის მწვერვალებისაკენ. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობენ 24 ეროვნების სტუდენტები, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში — 28 ეროვნების, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში — 16 ეროვნების სტუდენტები. ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში სწავლება ხორციელდება ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა შვილები სწავლობენ ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში ცხოვრებასა და ბრძოლას მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის — კომუნიზმისათვის.

საბჭოთა ადამიანები ინტერნაციონალისტები არიან თავიანთი რწმენის არსით, ჯულის კარნახით. ასეთებს ზრდის მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — ინტერნაციონალისტ-ლენინელთა პარტია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობა, მისი ბრძოლა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისათვის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა, ახალი ადამიანის აღზრდა გამსჭვალულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. თვით პარტიაც შენდებოდა და შენდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ პრინციპებზე, რომლებიც ხორცს ისხამს შინაპარტიულ ცხოვრებაში, მისი რიგების ზრდასა და განმტკიცებაში.

ბოლშევიკური პარტია თავისი წარმოშობის დასაწყისიდანვე იყო რუსეთის პროლეტარიატის ერთიანი მებრძოლი ავანგარდი მიუხედავად მის წარმომადგენელთა ეროვნული კუთვნილებისა. „...თვითმპყრობელობასთან ბრძოლის, მთელი რუსეთის ბურჟუაზიასთან ბრძოლის საკითხებში, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1908 წლის თებერვალში, — ჩვენ უნდა გამოვიდოდეთ როგორც ერთიანი, ცენტრალიზებული, მებრძოლი ორგანიზაციი, ჩვენ უნდა ვეყრდნობოდეთ მთელ პროლეტარიატს, განურჩევლად ენისა და ეროვნებისა, ჩვენ უნდა ვიყოთ შედუღებულნი ერთმანეთთან თეორიული და პრაქტიკული, ტაქტიკური და ორგანიზაციული საკითხების მუდმივი ერთობლივი გადაჭრით, და არ უნდა ვქმნიდეთ ცალეულ, საკუთარი გზით მიმავალ ორგანიზაციებს, არ ვასუსტებდეთ ჩვენი შეტევის ძალას მრავალრიცხოვან დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიებად დანაწილებით...“ (თხზულებანი, ტ. 6, გვ. 411-412).

იოლი როდი იყო ეს ამოცანა — შეგვექმნა ერთიანი ცენტრალიზებული ინტერნაციონალისტური ორგანიზაცია იმ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობდა მრავალი ათეული ეროვნება, რომლებიც გათიშული იყვნენ მეფის პოლიტიკით — ეროვნული ანტაგონიზმის, მტრობისა და განკერძოებულობის პოლიტიკით გათიშულნი. ლენინი, ბოლშევიკები, შეუპოვრად იბრძოდნენ რუსეთის ყველა ერისა და ეროვნების მუშათა კლასის გაერთიანებისათვის, მუშათა მოძრაობაში ყველა და ყოველგვარი ნაციონალისტური ტენდენციების წინააღმდეგ. ასეთი თანმიმდევრული ბრძოლის შედეგად ინტერნაციონალიზმის იდეებმა გაიმარჯვეს პროლეტარული პარტიის როგორც პოლიტიკაში, ისე მის ორგანიზაციულ მშენებლობაში.

ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იშვა, იზრდებოდა და მტკიცდებოდა როგორც მრავალეროვანი ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა ქვეყნის მშრომელთა ავანგარდს, მიუხედავად მათი ეროვნული კუთვნილებისა. რუსეთში რევოლუციური მოძრაობა, რომელსაც სათავეში ედგა ინტერნაციონალისტური პრინციპების საფუძველზე შექმნილი და მოქმედი პარტია, ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებდა, მასში თავიანთი ორგანიზებულობისა და პოლიტიკური სიმწიფის კვალობაზე მონაწილეობას იღებდა რუსეთის პროლეტარიატის ყველა ეროვნული რაზმი. ამან წინასწარ განსაზღვრა წარმატება სოციალისტური რევოლუციისა, რომელიც რუსეთის პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის მეთაურობით ლენინური ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელეს რუსეთის ყველა ხალხთა მშრომელმა მასებმა.

ინტერნაციონალიზმის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები აქვთ ამიერკავკასიის კომუნისტურ პარტიებს, კერძოდ, საქართველოს კომუნისტურ პარტიას. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ იმ მაღალი შეფასებით, რომელიც ვ. ი. ლენინმა მისცა მრავალეროვანი კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ერთობლივ რევოლუციურ ბრძოლას. 1918 წელს წერილში ა. მ. გორკისადმი ლენინი აღნიშნავდა: „ჩვენში და კავკასიაში ს.-დ. ქართველები + სომხები + თათრები + რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთიან ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა. ერთადერთი გადაწყვეტა“ (თხზულებანი, ტ. 35, გვ. 76).

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებამ ასახვა ჰპოვა კავკასიაში პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების — რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის (1908-1905), რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის (1917-1920), რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს (1920-1922), საკ. კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის (1922-1936) შემადგენლობაში, რომლებიც ბევრი ეროვნების ბოლშევიკებს აერთიანებდნენ. ამიერკავკასიის ბოლშევიკებს მამაცი ხელმძღვანელების მ. ა. აზიზბეკოვის, ს. მ ეფინდიევის, ვ. ზ. კეცხოველის, ბ. მ. ანუნიანცის, ფ. ე. მახარაძის, ნ. ნ. ნარიმანოვის, გ. კ. ორჯონიკიძის, ს. ს. სპანდარიანის, ი. ბ. სტალინის, ე. დ. სტასოვას, ი. ტ. ფედოროვის, ა. გ. ფუსუკიძის, მ. გ. ცხაკაიას, ს. გ. შაუმიანის, პ. ა. ჯაფარიძისა და სხვების სახელები ძვირფასი და მახლობელია სხვადასხვა ეროვნების მილიონობით მშრომელთათვის, ხოლო მათი ცხოვრების სახელოვანი გზირობა ხალხთა ბედნიერებისათვის, მათი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი შთამაგონებელ მაგალითს წარმოადგენს კომუნიზმის მშენებელთა ახალი თაობებისათვის.

საქართველოს კომპარტიის — ლენინური პარტიის ერთ-ერთი უძველესი მებრძოლი რაზმის — შემადგენლობა თვალსაჩინოდ ადასტურებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ინტერნაციონალურ არსს. საქართველოს [illegible] ნების მის წარმომადგენლებს აერთიანებ[illegible] ვის მის რიგებში ითვლებოდა პარტიის 288 810 წევრი და წევრობის კანდიდატი, მათ შორის — [illegible] 16 120 რუსი, 9 459 ოსი, 6 05[illegible] ბერძენი, 2 725 უკრაინელი, 2 150 ებრაელი, 262 ბელორუსი, 193 ჩუვანი, 182 ასირიელი, 177 თათარი, 176 პოლონელი, სხვა ეროვნებათა კომუნისტები.

საქართველოს კომპარტიის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განვითარებას თან ახლდა მისი შემადგენლობის მრავალეროვნულობის მუდმივი ზრდა. მაგალითად, თუ 1924 წელს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში წარმოდგენილი იყო 15 ეროვნება, 1927 წელს ისინი უკვე 46 იყვნენ, 1940 წელს — 62, ხოლო ამჟამად, როგორც უკვე ვთქვეთ, 72 ეროვნებაა. საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ინტერნაციონალური ბასიათი კარგად ჩანს მისი არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობის ანალიზით. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის მიერ 1966 წლის მარტში არჩეული ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ ქართველები, რუსები, აფხაზები, სომხები, ოსები, უკრაინელები და სხვა ეროვნებათა პირები.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ინტერნაციონალური შემადგენლობა, რომელიც განპირობებულია რესპუბლიკის მოსახლეობის მრავალეროვნული ხასიათით, ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ძმური მეგობრობის დადასტურებაა. საქართველოს კომპარტია, ისევე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, არა მარტო წარმოადგენს საერთო ნებით, მიზნითა და იდეოლოგიით შეკავშირებულ თანამოაზრე-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაციას, არამედ ინტერნაციონალურიც არის თავისი შემადგენლობით, თავისი შინაპარტიული ცხოვრების ხასიათით.

XXIII ყრილობამ პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაგვიხატა იმის აუცილებლობა, რომ განუხრელად ვახორციელებდეთ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, ვზრდიდეთ ყველა საბჭოთა ადამიანს საბჭოთა პატრიოტიზმის და სსრ კავშირის ხალხთა საუკეთესო, პროგრესული ეროვნული ტრადიციებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, ყველა მოძმე სოციალისტური ქვეყნის ხალხებთან, მთელი მსოფლიოს მშრომელებთან მეგობრობის სულისკვეთებით, ვეწეოდეთ განუხრელ ბრძოლას ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ.

ინტერნაციონალური აღზრდა პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს მასებში იდეოლოგიური მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას, პოლიტიკური განათლების, ინფორმაციის და პროპაგანდის ყველა საშუალების გამოყენებას. ინტერნაციონალურ თემატიკას ღირსეული ადგილი უნდა ეჭიროს ჩვენი პრესის ფურცლებზე, რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებში. ჩვენი ლექტორები, მომხსენებლები, აგიტატორები და პოლიტინფორმატორები მოწოდებული არიან მუდამ მიჰქონდეთ მასებში ინტერნაციონალიზმის იდეები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ინტერნაციონალისტ-ლენინელთა პარტია, გვასწავლის, რომ საბჭოთა ადამიანების უმაღლესი ინტერნაციონალური მოვალეობაა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა, რომელიც შეეხებამება მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესებს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვა. ამ მოვალეობის ღირმად შეგნება ამრავლებს საბჭოთა ხალხის ძალებსა და ენერგიას მას თავდადებულ ბრძოლაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ეგებებრა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ იარაზმება კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი და უძლეველი დროშის ქვეშ.

„კომუნისტ“-ი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი, 1970 წ. № 2.

საერთაშორისო სხივჯეჯა

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პრაღა, 28 იანვარი. (საკდესი). დღეს პრაღაში გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, იუწყება ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო.

პლენუმის დღის წესრიგშია: ზოგიერთი საკადრო საკითხის განხილვა; პარტიის ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი პრობლემები; ინფორმაცია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში. პარტიის ქმედუნარიანობის განმტკიცება და გაღლიერება პარტიული ბილეთების შეცვლასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგის პირველი პუნქტის გამო გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰუსაკი, მეორე პუნქტის გამო — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვ. გულა.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, გარდა ცენტრალური კომიტეტის წევრებისა, ეესწრებიან ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო-სარეგიზიო კომისიის წევრები, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და ცენტრალური კომიტეტის მდივნები, და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

დღეს პლენუმს თავმჯდომარეობდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ბილიაკი.

პრაღა, 29 იანვარი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გუშინ მოიწონა მთელი რიგი ცვლილებანი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩეხეთის ოლქებში პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის ბიუროს წევრებად და მდივნებად. ოლქების ბიუროს თავმჯდომარეებად ირჩიეს ი. ბალეკა, ი. ბაბიკი, ი. ბალეკა, ფ. ბოლეკა, ი. ბოლეკა, ფ. ბოლეკა, ი. ბოლეკა, ფ. ბოლეკა, ი. ბოლ

საქართველოს ქთა და ბარეში

გარდაბნის სიახლენი

ახლახან გარდაბანში ხარაჩოები ჩამოხსნეს ორ საცხოვრებელ სახლს. 100-ზე მეტი ოჯახი მიიღებს ერთ-ორ და სამოთახიან კომფორტულ ბინებს. ბინათმშენებლობა გარდაბანში ფართო მასშტაბით მიმდინარეობს. ამ რამდენიმე ხნის წინათ აქ კიდევ გადაეცა საექსპლოატაციოდ სამი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

არქიტექტურულად კარგად გაფორმებულმა სახლებმა თავისებური ელფერი შემატეს გარდაბნის ცენტრს. გაყვანილია სახლებთან მისასვლელი კეთილმოწყობილი გზები, გაკეთდა ლამპიონები, გაზონები, მოედნები.

სამშობლოს ზრუნვა

თბილისი. (საკ. კორ.). მარტო შარშან თბილისის რაიონში შრომის პენსიონერებს მიეცა ნახევარ მილიონამდე მანეთი, სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახებმა მიიღეს 53 ათას მანეთზე მეტი, ხოლო სამხედრო ინვალიდებმა — 78.700 მანეთი, კოლ.ეკონომ პენსიონერებზე გაცემულია 341.900 მანეთი. ფიდი დახმარება მიიღეს მრავალშვილიანმა და მარტოხელა დედებმა, ამას გარდა, ინვალიდებს მიეცათ საგზურები სანატორიუმებსა და ფასასვენებელ სახლებში.

მიმდინარე წელს კიდევ უფრო გაიზრდება პენსიებისა და დახმარების თანხები.

ქართველი მეცნიერი — იუგოსლავიის სტუმარი

იუგოსლავიაში ხორციელდება დიდი მოცულობის კვლევა სეისმოლოგიის, საინჟინრო სეისმოლოგიისა და სეისმომედეგი შენებლობის დარგში, — უთრრა საქდესის კორესპონდენტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის საინჟინრო სეისმოლოგიისა და სეისმომედეგობის თეორიის განყოფილების. გამგე, პროფესორმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა შ. გ. ნაფეტვარიძემ.

სამი თვის განმავლობაში — 1969 წლის სექტემბერ-დეკემბერში ქართველი მეცნიერი სტუმრად იყო იუგოსლავ სპეციალისტებთან, როგორიც იუნესკოს საერთაშორისო ექსპერტი სეისმომედეგი შენებლობის საკითხებზე.

— ქალაქი სკოპლე, — განაგრძო მეცნიერმა, — თითქოს აღორძინდა 1963 წლის დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ. ახლა აქ აშენდა მრავალსართულიანი სახლები, რომლებიც შეესაბამება სეისმომედეგი შენებლობის ყველა ნორმას. მისი ახალი ნაგებობების გაანგარიშებანი იუგოსლავიის ახალგაზრდა სამეცნიერო ცენტრში — მაკედონიის (სკოპლე) უნივერსიტეტთან არსებული სეისმოლოგიისა და სეისმომედეგი შენებლობის ინსტიტუტშია შესრულებული. შენობები აქცაყოფილებენ თანამედროვე არქიტექტურის მოთხოვნებსაც. იუგოსლავიაში უკვე მესამეჯერ ვიყავი. ამიტომ განსაკუთრებით ვამჩნევ, როგორ იცვლის სახეს ეს ქალაქი.

შ. ნაფეტვარიძემ მაკედონიის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექციების კურსი ჰიდროტექნიკური და საინჟინრო ნაგებობათა სეისმომედეგობის საკითხებზე. ამავე თემაზე წაუკითხა ლექციები იუგოსლავიის საინჟინრო-ტექნიკური საზოგადოების ფართო აუდიტორიის.

ამავე დროს ქართველი სპეციალისტი კონსულტაციას უწევდა იუგოსლავ სპეციალისტებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საკითხებზე, რომელიც წარმოებს იუგოსლავიის მთელ რიგ სამეცნიერო და საპროექტო ინსტიტუტებში სეისმომედეგი მშენებლობის დარგში.

საბჭოთა სპეციალისტები და მეცნიერები ყოველმხრივ დახმარებას უწევენ იუგოსლავ კოლეგებს სეისმომედეგობის დარგში. მაგალითად, ქალაქ სკოპლეში მოქმედებს სახლთსაშენებელი ქარხანა, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაჩუქარია. იუგოსლავიის ხშირი სტუმრები არიან თვალსაჩინო საბჭოთა სეისმოლოგები, პროფესორები, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორები ს. ვ. მედვედევი და ნ. ვ. შებალინი (მოსკოვი).

ქართველი სპეციალისტი ძლიერი მიწისძვრის შედეგების მოწმე იყო, რომელმაც 1969 წლის 27 ოქტომბერს დანგრია ქალაქი ბანიალუკა. მისი მონაწილეობით შედგენილ დოკუმენტი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებმა ქალაქის ხელისუფლებს მოახსენეს თავიანთი მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებანი, რომ სწორადაა აღდგენილი და ახალი შენობებიდ დაემშვენებინათ ქალაქი ბანიალუკა, რომელიც ძლიერ დაზიანდა მიწისძვრის შემდეგ.

ქართველ მეცნიერებს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ იუგოსლავ კოლეგებთან, მუშაკებთან, რომლებიც სეისმომედეგი შენებლობის დარგში მუშაობენ. მაგალითად, საქართველოში იყო 12 იუგოსლავი სპეციალისტი. შ. ნაფეტვარიძის მეცნიერული ხელმძღვანელობით იუგოსლავიაში მეცნიერების მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი წარმატებით დაიცვა 5 ახალგაზრდა სპეციალისტმა. ქართველი მეცნიერის კონსულტაციით იუგოსლავიაში შენდება სეისმომედეგი ასმეტრიანი მიწის კაშხალები „შპილე" და „ტუტეა", მდინარე ვარდასის სარეგულაციო საინჟინრო ნაგებობა სკოპლეში. (საქდესი).

შემთხვევა

დაწვას გადაარჩინეს

ლენინგორი. (საკ. კორ.). ეს შემთხვევა სოფელ წიფლაკაკაში მოხდა. კოლმეურნე სამსონ ლიპარტელიანის საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გაეჩინა. ხანძარი თანდათან გამძვინვარდა. მშველელი არ ჩანდა, ყველანი მინდვრად იყვნენ გასული სამუშაოდ.

ეცხლმოდებულ სახლს, ბედად, გზაში მიმავალი ავტობუსი მიუახლოვდა. მძღოლმა გელა შავრეშანაძემ ავტომანქანა დაამუხრუჭა, მგზავრები თან გაიყოლა და ხანძარს ეკვეთა. სტიქია მამაც ადამიანებს დანებდა. სახლი დაწვას გადარჩა.

ავტომანქანის მძღოლთან ერთად ხანძართან ბრძოლაში თავი ისახელეს მგზავრებმა ო. ლიპარტელიანმა, ფარო, ვერა და მინუცა ტვილდიანებმა, ფეჩე ქურასბეგიანმა, ალექსანდრე, კონსტანტინე და გრიგოლ ლიპარტელიანებმა, ა. გუგავამ.

ზეპირი ჟურნალი გზვანელებთან

ვანი. (საკ. კორ.). ბევრ საინტერესო ღონისძიებას ახორციელებს სარაიონო კულტურის სახლი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის. ამ დღეებში სოფელ ბზვანის კოლმეურნეობაში მოეწყო ზეპირი ჟურნალი.

დამსწრეთ მოისმინეს პარტიის ერონის რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგის ს. ხარძიანიშვილის ლექცია. ბზვანის კოლმეურნეობის, თავმჯდომარემ კოლმეურნეთა III საკავშირო ყრილობის დელეგატმა შ. ხონელიძემ ილაპარაკა 1970 წლის პერსპექტივებზე.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. უკრობელი ცეცხლი, გაკეთეს აუზი დიდი შადრევანით.

ერთ-ერთ საუკეთესო ნაგებობად ითვლება სავაჭრო ცენტრი, სადაც მომხმარებელს შეუძლია შეეძინოს როგორც სამრეწველო, ისე სასურსათო საქონელი. ახლო მომავალში აქ გაშენდება ორი პარკი, გაიხსნება მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კინოთეატრი, ახალგაზრდობის სახლი.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ამენდა, გაიხსნა...

● **ადიგენი.** (საკ. კორ.). ამ დღეებში სოფელ არლის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს მდინარე ქვაღლიანზე ახალი ხიდისა და სოფლის ცენტრში კულტურის სახლის აშენება. ამ ორ სასიხარულო მოვლენას მიეძღვნა მშრომელთა საზეიმო შეკრება, რომელიც გახსნა საქართველოს კპ ადიგენის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მექვაბიშვილმა. სიტყვით გამოვიდა არლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ზაზამეული.

არლელი მშრომელებისადმი მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორმა აკადემიკოსმა ე. ხარაძემ. მან სოფლის ბიბლიოთეკას თავისი საკუთარი წიგნის ფონდიდან უსახსოვრა 300 წიგნი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რაიონის, კურორტ აბასთუმნისა და, სოფელ არლის კულტსახლებთან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა.

● **ამბროლაური.** (საკ. კორ.). რაიონული ცენტრის საზოგადოებრივი კვების ქსელს კარგი სიახლე შეემატა. აქ გაიხსნა ახალი კეთილმოწყობილი კაფე-საჩაიე. იგი აღჭურვილია უახლესი დანადგარებით, მოწყობილობით და ავეჯით.

კაფე-საჩაიეს დარბაზი ერთდროულად 80 კაცს იტევს. უურადღებას იპყრობს ახალი ტექნიკით აღჭურვილი სამზარეულო. აქ მზადდება თითქმის ყველა დასახელების კერძები და დიეტური ულუფა.

მალე აქ დამთავრდება ნახევარფაბრიკატების მაღაზია და ნაყინის საამქრო.

● **ხობი.** ნიბულის სასოფლო ცენტრში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი 24-აღგილიანი კეთილმოწყობილი სასადილო.

რ. ქაჯაია.

● **ზუგდიდი.** ვარდნილიჯესის სამმართველოს რეჩხის დასახლებას კიდევ ერთი ლამაზი ნაგებობა შეემატა. დამთავრდა ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა (უფროს სამუშაოთა მწარმოებელი კ. ბალაგიძე, სამუშაოთა მწარმოებელი კ. ბაბაშვილი).

თავი გამოიჩინეს მშენებელთა კომპლექსურმა, კომკავშირულმა და დარგლთა ბრიგადებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ი. რიდელი, გ. ჭიჭინაძე და ო. გოგებაშვილი.

ბ. ალშიბაია.

ჩეხოსლოვაკიელი სტუმრები თბილისში

საქართველოს დედაქალაქ თბილისში ორ დღეს იყო სტუმრად ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე ამხანაგი არნოშტ სილანი და მისი მეუღლე ზდენა სილანი, რომელიც ჩეხურ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი". სტუმრებს თან ახლდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგის მოადგილე თ. სიმონოვი.

ჩეხოსლოვაკიელი სტუმრები თბილისში ყოფნის დროს გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, დათვალიერეს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ეწვივნენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს, იმოგზაურეს საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში, ნახეს ჯვარისა და სვეტიცხოვლის ტაძრები, შეხვდნენ ქართველ ჟურნალისტებს.

სურათზე: მარჯვნიდან — ა. სილანი მეუღლით და თ. სიმონოვი თბილისში.

ფოტო ს. კილაძისა.

ფალავნები თბილისს ეწვივნენ

დღეს სპორტის სასახლეში გაიხსნება საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

ცისფერ ფონზე მოხატული ორი ნახევარსფერო — სამოყვარულო ჭიდაობის საერთაშორისო ასოციაციის (ფილა) ემბლემა, სპორტის სასახლის გუმბათკვეშ ჭკიდია. ფანფარები უხმობენ დარბაზს. გაიხმის სპორტული მარშის მელოდია. მწყობრად მოამბიჯებენ შეჯიბრების მონაწილენი...

დაახლოებით ასეთი იქნება თბილისის IX საერთაშორისო ტრადიციული ტურნირის პროლოგი... მეცხრედ იკრიბებიან ჩვენს ქალაქში მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდავეები. ახლანდელი ტურნირი რამდენადმე აღემატება წინამორბედებს, აღემატება როგორც შემადგენლობით (მონაწილეთა რაოდენობა ამჟამად ასზე მეტია), ისე მნიშვნელობითაც.

საქმე ის არის, რომ ამ ტურნირმა უნდა გამოავლინოს ამა თუ იმ ქვეყნის მოჭიდავეთა საბრძოლო მდგომარეობა, მზადყოფნა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისათვის, რომლებიც წელს არის დანიშნული გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და კანადაში.

ამიტომ იყო, რომ მოჭიდავეთა უმრავლესობა თბილისში იანვრის შუა რიცხვებისათვის ჩამოვიდა და ორკვირიანი შეკრება გაიარა.

საბჭოთა მოჭიდავეებიდან შეკრებაზე მოწვეულ იყო ასამდე კაცი, მათ შორის დაახლოებით მეოთხედი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები იყვნენ. ტურნირისათვის შერჩეულ იქნენ საუკეთესონი საუკეთესოთა შორის — სსრ კავშირის ჩემპიონატების პრიზიორები და ნიჭიერი ახალგაზრდები.

მაგრამ განა მოჭიდავეთა შერჩევა ამით დამთავრდა?

ამ და სხვა კითხვებზე პასუხი გაგცეს რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვასტანგ ბალავაძემ.

ვერავითარი შეკრება ვერ შეედრება ოფიციალურ, სპრძოლო შეხვედრებს, მით უმეტეს ისეთი რანგისას, როგორიც არის თბილისის საერთაშორისო ტურნირი.

მიმდინარე წლის ჰასუხსაგებ შეჯიბრებათა გარდა, ჩვენ მეორის მოგველის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, შემდეგ კი, როგორც ცნობილია, მიუხედავად XX ოლიმპიური ასპარეზობა. ამისათვის კი საჭიროა აქედანვე მოგსინჯოთ ჩვენი ძალა, ყურადღებით დავუკვირდეთ მეორე და მესამე ნომრებსაც კი.

ეფიქრობ, თბილისის ტურნირის პირველი რიგის ამოცანა სწორედ ეს უნდა იყოს!

ტურნირზე ამ მიზნით საგანგებოდ ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპეციალისტები — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები ა. დიაკონი, ა. იალტრიანი, ს. პრეობრაჟენსკი, ჰ. გრიგორიანი. კოლეგიალობას მათ მასპინძლებიც გაუწევენ — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები მ. თიკანაძე, ი. ჩხარტიშვილი, მ. როსტიშვილი, ვ. ილურიძე და სხვები.

თბილისის ტურნირზე უცხოეთიდან და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოვიდა მრავალი სპპატიო სტუმარი, ჭიდაობის სპეციალისტი, სპორტული ჟურნალისტი. ინტერესი ამ შეჯიბრებისადმი მით უფრო დიდია, რომ იგი დაემთხვა იუბილეს — თავისუფალი ჭიდაობის 25 წლისთავს.

ამიტომაც გვინდა, რომ ეს შეჯიბრება განსაკუთრებით ლამაზი და დასამახსოვრებელი გამოგვივიდეს, — გვეიუბნება შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვასტანგ კუხიანიძე.

საერთაშორისო ტურნირისათვის, რომელიც სამ დღეს გაგრძელდება, ჩვენ გამოვეცით ლამაზად გაფორმებული პროგრამა სამ ენაზე, სხვადასხვა ფერის საშვებები ოფიციალური წარმომადგენლებისათვის, მსაჯებისათვის და პრესის მუშაკებისათვის, მოწონებას დაიმსახურებს, ალბათ, მოხერხებული საქაღალდე ჩანთები, რომლებიც გათვალისწინებულია შეჯიბრების ოფიციალური მასალებისათვის.

ჭიდაობის მოყვარულებს უფოდ გააცხარებს ცნობა, რომ საქართველოს საზოგადოება „ცოდნამ" ჩვენს ტურნირს დაუკავშირა გამოცემა დ. მესხის ბრიშვრისა „ქართველი ეროვნული ჩემპიონები ჭიდაობაში".

სპორტის სასახლის ორ ხალიჩაზე ჩვენ ვიხილავთ მეტად ძლიერ შემადგენლობას — ბულგარეთის, ირანის, რუმინეთის, მონღოლეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საუკეთესო მოჭიდავეებს.

სპეციალისტები და ჟურნალისტები, როგორც ყოველთვის, ახლაც გამოაყოფენ ფავორიტებს — სსრ კავშირის, ირანის, ბულგარეთის, მონღოლეთის ჭიდაობებს.

საინტერესოა, რომ ბუნდური ადგილების განაწილების დროს სწორედ ასეთ თანმიმდევრობას წინასწარმეტყველებს ჩვენი ქვეყნის ნაკრების უფროსი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ალექსანდრე დიკიანი.

ამ შეჯიბრებას მოჭიდავეები ხუმრობით „ძმათა ტურნირს" უწოდებენ. საქმე ის არის, რომ მასში მონაწილეობს ძმათა ხუთი წყვილი: ხოსაშვილები — ნოდარი და აკაკი, დიმიტრიეშვილები — გაბრიელი და რომანი, ნასრულავეები — ნასრულა და ამინული, ბონდარეები — ბორისი და ოსური, ანდიეშვილი — გენადი და სერგეი. სხვათა შორის, ანდიეშვილს შეეძლოთ... ტურნირის თავისებური რეკორდი დამყარებინათ, თბილისში. თავიანთი მესამე ძმაც — მძიმე წონაში ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი, 18 წლის სოსლანიც რომ ჩამოეყვანათ.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მოგვბაძეს ბულგარეთმა და ირანმა, რომლებიც ასეთივე ტიპის ტურნირებს მართავენ. ირანში შეჯიბრება ატარებს შაჰის, ხოლო ბულგარეთში — ამ ქვეყნის ცნობილი მოჭიდავის დან კოლოვის სახელს.

კარგი იქნებოდა, თუ თბილისის საერთაშორისო ტურნირსაც კულა გლდანელის, ნესტორ ესებუას, სანდრო კანდელაკის ან სხვა ცნობილ მოჭიდავეთა სახელებს შევარქმევდით.

რა თქმა უნდა, ჭიდაობის მოყვარულნი მოუთმენლად ელიან დღეგანდელ საღამოს, ტურნირის საზეიმო გახსნას. სხვებთან ერთად ისინი საჭიდაო ხალიჩაზე იხილავენ უძლიერესებს — ზარბეგ ბერიაშვილს, ალი ალიევს, იური შამურადოვს, ზაგალაკ ბბდულბეკოვს, ანდრო ცხოვრებოვს, ნოდარ ხოსაშვილს...

ო. ნოზაძე.



ასე მიმდინარეობდა შ. ლომაძისა (ზემოდან) და ირანელ დ. აიუბის ფინალური შეხვედრა თბილისის ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე.

ფოტო ი. იუნკერმანისა.

ქალათბურთი

მატჩები და შედეგები

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდები განაგრძობენ შეჯიბრებას ჩვენი ქვეყნის პირველობაზე.

სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონებმა რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის კალათბურთელებმა მძაფრ ბრძოლაში მოუგეს მოსკოვის „სერპი მოლოტს" 69:62. ტარტუს „უნივერსიტეტის" გუნდი დამარცხდა ლენინგრადის „ბურევესტნიკთან" შეხვედრაში 47:55. კიდევ ერთი მატჩი წაგო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდმა, ამჯერად ლენინგრადის „სპარტაკთან" 50:63.

ვაჟთა გუნდების ასპარეზობაში მოულოდნელი აღმოჩნდა სვერდლოვსკის „ურალმაშისა" და კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდების შეხვედრის შედეგი. ერთი ქულის სხვაობით (75:74) წარმატება სვერდლოვსკელებს ხვდათ. თბილისის დინამოელებს პაუჭრობა ჰქონდათ ალმა-ათის „ლოკომოტივთან" და გაიმარჯვეს 77:69. ლენინგრადის „სპარტაკმა" მოუგო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს 88:71. ჩემპიონატის ლიდერმა კიევის „სტროიტელმა", კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა აქტივში, დამარცხა რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი 88:72, ცსკა-მ მოუგო ტარტუს „კალევს" 86:79, კაუნასის „ფალეიროსმა" დამატებით დროში — მოსკოვის „დინამოს" 99:97.

ჭადრაკი

სსრ კავშირი — იუგოსლავია

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკე ქალთა გუნდების მატჩზე მსოფლიოს ჩემპიონის გაფრინდაშვილისა და ლაზარევიჩის გადადებულ პარტიაში ჩვენმა თანამემამულემ კარგად გამოიყენა მატერიალური და პოზიციური უპირატესობა და კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. ამრიგად, უკანასკნელი ტური წინ ანგარიში იყო 14,5:3,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

გუშინ გაიმართა უკანასკნელი ტური.

კიდევ ორი მონაწილე

გამოვლინდა მსოფლიოს პირველობის საზონთაშორისო ტურნირის კიდევ ორი მონაწილე. ესენი არიან სამხრეთ ამერიკის ზონიდან — კუბელი ე. ჰამენესი, კანადის ზონიდან — დ. სატლსი.

სპორტული ქრონიკა

● **მოსკოვში** გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფრენბურგში ეიფთა გუნდებისათვის. რიგის „რადიოტექნიკამ" მოუგო აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის გუნდს 3:1, არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა დაამარცხა კიევის „ლოკომოტივი" 3:0.

● **ფიბურულ** მოცეგურავეთა ევროპის ჩემპიონატში, რომელიც ლენინგრადში გაიმართება, მონაწილეობას მიიღებს 106 სპორტსმენი, ყველაზე მეტი (17) წარმომადგენელი ეყოლება სსრ კავშირს.

● **უკბასეთის** მინისტრთა საბჭოს პრეზიუმი გამართულ ჩეხოსლოვაკიის მოცეგურავეთა მედალოს საერთაშორისო შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა საბჭოთა სპორტსმენი ვ. მურატოვი, რომელმაც 500 მეტრზე 38,73 წამი აჩვენა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.



სურათზე: ასეთია ერთ-ერთი ღია ბარათი.

ღია ბარათებზეა ჭიათურა

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი მარგანეცის საბადოს ექსპლოატაციის 90 წლისთავთან დაკავშირებით პოლიგრაფიული საუვნირეობის თბილისის ლაბორატორიამ გამოუშვა ფერადი ღია ბარათები მარგანეცის ქალაქზე.

ღია ბარათები ათასიანია. თვითეულის ტირაჟია 80.000. ბარათებზე ასახულია: ხიდი მდინარე ყვირილაზე, მარგანეცის ტრესტის შენობა, ჭიათურის ახალი საცხოვრებელი უბანი, კულტურის სასახლე, აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრი, სახალხო საბაღო საბავშვო ბაღები, მარგანეცის გადაზიდვა საბაღო-საბავშვო გზით, კაცების მონასტერი, მაღაროელთა დასასვენებელი სახლი კვერეთში.

ქომუნისტი

თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99 93 03, 99 03 09, ბ/მგ. მდივნის — 99-72 80, სამდივნოსი — 99 66-10, განყოფილებებისა: ბარტიული — 99 87 61, პროპაგანდის — 93 22-93, მრეწველობის — 93 20 21 ხოფლის მეურნეობის — 99-52 46, ხაბჭოთა მშენებლობის — 93 18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ხელოვნების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55 01, ინფორმაციის — 93 18 90, წერილების 99 73 24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93 93 96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 96443 УЭ 08035

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.

რეგორი იქნება თებერვალი?

თებერვალი დადგა, ხეში წყალი ჩადგა — ამბობს ხალხი. მართლაც, თებერვალი ზამთრის უკანასკნელი თვეა, კლიმატური თვისებებით იანვრისაგან მკვეთრად არ განსხვავდება, მაგრამ უფრო თბილი კი არის. ამასთან იგრძნობა გაზაფხულის სუნთქვაც.

„კომუნისტის" კორესპონდენტი ლ. ხუბულური ესაუბრა თბილისის ამინდის ბიუროს უფროს ინჟინერ-სინოპტიკოს ა. იმნაძეს და სთხოვა ეამბნა, თუ როგორი იქნება წლევანდელი თებერვალი.

— წელს თებერვალი შარშანდელთან შედარებით თბილი იქნება. დასავლეთ საქართველოში მთლიანად 17-18 თებერვლისათვის არის მოსალოდნელი უმეტესად მცირეღრუბლიანი, მშრალი ამინდი, თვის დანარჩენ დროს კი იქნება მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი, უმეტესად თოვლის სახით.

ჰაერის ყველაზე დაბალი ტემპერატურა მოსალოდნელია მეორე დეკადის პირველ ნახევარში და მესამე დეკადის მეორე ნახევარში, დაბლობ რაიონებში ღამით ორი გრადუსი ყინვა — სამი გრადუსი სითბო, ღღისით 7-12 გრადუსი სითბო. მთა რაიონებში ღამით 7-12 გრადუსი ყინვა, ღღისით 3-8 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში მშრალი ამინდი, მოსალოდნელია 12-18 თებერვლისათვის, თვის დანარჩენ დროს — მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი უმეტესად თოვლის სახით.

პირველ ხუთდღიურში გორ-ხაშურის რაიონში მოსალოდნელია სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი წამში 7-12 მეტრი სიძლიერისა.

მეორე ხუთდღიურში და მესამე დეკადაში იქროლებს ნამში 5-10 მეტრი სიძლიერის ქარი, მეტვრის ხეობაში კი წამში 15-18 მეტრი სიძლიერის ქარი.

ყველაზე დაბალი ტემპერატურა მოსალოდნელია მეორე დეკადის პირველ ნახევარში ღამით ნულიდან 1-6 გრადუსი ყინვა, ღღისით 5-10 გრადუსი სითბო, ეს ეხება ალაზანი-ველ, ბოლნისი-ველ, ქვემო ქართლ-ველ, ბორჯომ-ველ, ფასანაურ-ველ, ბაკურიანი-ველ, ბაზალეთ-ველ, ბაზალეთ-ველ, ბაზალეთ